89/102-01

11.12.2018

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს

ნ ე ბ ა რ თ ვ ა

გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „გ და თ სერვისს“ (ს/ნ202384856) შორის 16.06.2017-ში გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება **N1231231621277**, რომლის საფუძველზეც სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი ფართი:

მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი : 01.72.14.037.632
მისამართი: ქალაქი თბილისი, მირიან მეფეს ქუჩა N 68 ა
განაცხადის რეგისტრაციის: # **882017524941**
დაზუსტებული ფართობი: 4403.00 კვ.მ
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით- 548.82 კვ.მ., N2- საერთო ფართით 587.64 და N3- საერთო ფართით 649.27 კვ.მ., და , N 4- 1954.99 კვ.მ (მშენებარე)

სს “თიბისი ბანკი“ თანახმაა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.72.14.037.632) გასცეს ნებართვა, კლიენტის მიერ მოთხოვნილი განცხადების №AR1643709 საფუძველზე, სარემონტო სამუშაობების განხორციელებაზე, მათ შორის მოახდინოს ტერასის ფართის დამატება, ისე, რომ სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „გ და თ სერვისს“ (ს/ნ202384856) შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულება დარჩეს უცვლელი.

პატივისცემით,

ვაჟა- ფშაველას ს/ც N 1-ის დირექტორი

ელისაბედი პაპისაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

22455193171117

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171470065

რეგისტრაციის თარიღი

19.12.2017 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის #7, მომმართა სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ პაატა ღამაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **პაატა ღამაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, პ/ნ #01023000307, მარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ დეკემბერს სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს ,,თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღამაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, პ/ნ #01023000307, მარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) **სს ,,თიბისი ბანკის"** ვაჟა-ფშაველას გამზირის #1 სერვისცენტრის ადმინისტრატორს **ელისაბედ პაპისაშვილს** (პ/ნ01030028827), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. 'რწმუნებული' **ელისაბედ პაპისაშვილი** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკი"-ს სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, სერვისცენტრის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება სერვისცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.
2. ამ მინდობილობით **ელისაბედ პაპისაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას **სს „თიბისი ბანკის"** ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასთვრამეტი წლის სამი იანვრიდან ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.
5. 'რწმუნებულს' უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) მის მიერ შერჩეულ პირს.

პაატა ღამაძე:

საზღაური: 10.00 ლარი (,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო, ნოტარიუსი მედეა გვაზავა * GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA * 01008018186